ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

(ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ. №1 ტელ. 27-45-25)

ქ. ოზურგეთი 26 აპრილი 2013 წელი

განკარგულება №42

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი ქონების გასხვისებაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 43–ე მუხლის მე–3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის და „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის თანახმად:

1. დაკმაყოფილდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოთხოვნა (24.04.2013წ. №900 წერილი) და ეკლესია მონასტრების მშენებლობის ხელშეწყობის, სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარებისთვის და სტიქიის შედეგად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის მიყენებული ზიანის სალიკვიდაციოდ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი ქონების კერძოდ, სტიქიისა და ხანძრის შედეგად დაზიანებული და ამორტიზირებული მწვანე ნარგავების უსასყიდლოდ გასხვისებისთვის, მუნიციპალიტეტის გამგეობას მიეცეს თანხმობა.

2. დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას მოამზადოს და გააფორმოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი ქონების გასხვისებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტაცია.

3. გასასხვისებელი (მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული) ძირითადი ქონების ნუსხა თან ერთვის დანართის სახით.

3. კონტროლი აღნიშნული განკარგულების შესრულებაზე დაევალოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების,ინფრასტრუქტურისა და ურბანიზაციის კომისიას (კომისიის თავმჯდომარე თ. სალუქვაძე)

4. აღნიშნული განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მ. სიორიძის ქუჩა№14) მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: **ალეკო მამეშვილი**

Created by free version of DocuFreezer

დანართი

№	ხეების ადგილმდებარეობა და ჯიში	ხეების რაოდენობა ცალი
1	ასკანის თემი (დაბალი ეწერი) კრიპტომერია	48
2	ვაკიჯვრის თემი სასაფლაოსთან კრიპტომერია	14
3	ვაკიჯვრის თემი(ჩუნიას მიმდებარე) კრიპტომერია	13
4	ჯუმათის თემი (შუშანდარი ბეგოს უბანი) კრიპტომერია	86
5	დაბა ლაითურის მე-5 რაიონი კრიპტომერია	62
6	დაბა ნასაკირალის I-რაიონი კრიპტომერია	107
7	ძიმითის თემი მე-4 ბრიგადა კრიპტომერია	8
8	მერიის თემი ნაღობილევი კრიპტომერია	7
9	სოფ. ოზურგეთი (სასაფლაოსთან) კრიპტომერია	8
10	დაბა ნასაკირალის მე-5 რაიონი კრიპტომერია	72
11	დაბა ნარუჯის მე-6 რაიონი	421
12	ბოხვაურის თემის ცენტრალურ გზაზე კრიპტომერია	48
13	ქ. ოზურგეთი ცენტრალურ გზაზე კედარი	36
14	დაბა ნარუჯის მე-3 რაიონი	79
15	სულ ჯამი	1009

Created by free version of DocuFreezer